ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქონების მართვის სააგენტო

გაცნობის თარიღი

11.03.2013

გაცემის თარიღი

11.03.2013

განხილვის საგანი :	სარგებლობის უფლებით ქონების გადაცემაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	შპს ლიტ ჯეო ინვესტი 204531088
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1111275
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მერთან (მისამართი: თბილისი, ჟ.შარტავას №7)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1111275

1. გადაეცეს შპს "ლიტ ჯეო ინვესტს" (ს/კ: №204531088) იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, ქ.თბილისში, პუშკინის ქუჩა №1-3-ში მდებარე 69 კვმ. მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: №01.18.03.018.043.).
2. გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გადაცემული უძრავი ქონების საიჯარო პირობები განისაზღვრება გადაწყვეტილების დანართით.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შპს "ლიტ ჯეო ინვესტის" განცხადებასთან (რეგისტრ. QN№111275) ერთად გათანაბრებულია ხელშეკრულებასთან, რომლის განუყოფელ ნაწილს შეადგენს თანდართული საიჯარო პირობები.
4. საიჯარო ურთიერთობის მხარეებს წარმოადგენენ ქ. თბილისის მერია (თბილისის თვითმმართველი ერთეული) – წარმოდგენილი ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს სახით (მეიჯარე) და შპს "ლიტ ჯეო ინვესტი" (ს/კ: №204531088) (მოიჯარე).

საფუძველი:

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 195 მუხლის, ქ. თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს №9-65 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის" მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-7 მუხლის, ქ. თბილისის მთავრობის 30.03.10წ. №08.32.412 დადგენილებით დამტკიცებული, ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს წესდების (დებულების) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, ქ. თბილისის მთავრობის 2013 წლის 26 თებერვლის №07.12.208. დადგენილების შესაბამისად

დანართი

საიჯარო პირობები

1. აქტის შესაბამისად, გადაცემულ ქონებაზე იჯარის უფლება წარმოიშობა აღნიშნული აქტის გაცნობის მომენტიდან.

2. მოიჯარე უფლებამოსილია, იჯარით მიღებულ მიწის ნაკვეთზე განახორციელოს მხოლოდ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტით ან/და სხვა ფორმის თანხმობით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის მშენებლობა/მონტაჟი.

2.1. იჯარის ვადა განისაზღვროს **19 (ცხრამეტი)** წლის ვადით.

3.1. ყოველწლიური საიჯარო ღირებულება შეადგენს **6 900 (ექვსიათას ცხრაასი)** ლარს (შემდგომში **„საიჯარო ქირა“**).
3.2. საიჯარო ქირა გადახდილ უნდა იქნეს თანაბარწილად ყოველ 6 თვეში ერთხელ, არა უგვიანეს ყოველი ექვსთვიანი პერიოდის გასვლის უკანასკნელი დღისა. გადახდის ვადა აითვლება გადაწყვეტილების გაცნობის მომენტიდან. 11.03.2013
3.3. საიჯარო ქირა გადაირიცხება შემდეგ საბანკო ანგარიშზე:
ს.ს „ლიბერთი ბანკის“ ცენტრალური ფილიალი
მიმღების დასახელება: სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (ს/კ 205296375)
მიმღების ანგარიშის ნომერი: GE11LB0121133567228000;
3.4. საიჯარო ურთიერთობის განმავლობაში ეროვნული ვალუტის ინფლაციის შემთხვევაში მეიჯარე უფლებამოსილია, გაზარდოს საიჯარო ქირა შესაბამისი ოდენობით. ასევე, ეკონომიკური პირობების ცვლილებების გათვალისწინებით, ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიწის ნორმატიული ფასის ცვლილების შემთხვევაში, საიჯარო ქირის გადახედვა ურთიერთობის მონაწილეების მიერ შესაძლებელია შეთანხმების საფუძველზე, ან მეიჯარე ამ პირობებით განსაზღვრული წესით ატყობინებს ქონების მიმღებს ახალი საიჯარო ქირის ოდენობას. წერილობითი შეტყობინებიდან ერთი თვის ვადაში შეთანხმების მიუღწევლობის და საიჯარო პირობებში ცვლილების გაუფორმებლობის შემთხვევაში მეიჯარე უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს საიჯარო ურთიერთობა.
4. მოიჯარე ვალდებულია მეიჯარის პირველივე მოთხოვნისთანავე გაათავისუფლოს იჯარით გადაცემული ქონება 1 თვის ვადაში.
5. იჯარით გადაცემულ ქონებაზე გამარჯვებულ სარეკლამო კომპანიასთან შეთანხმების გარეშე, მოიჯარემ არ უნდა განათავსოს რეკლამა თავის საქმიანობასთან დაკავშირებული რეკლამის გარდა.
6. საიჯარო ქირის გადახდა მოიჯარეს არ ათავისუფლებს მიწით სარგებლობისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადისა და საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული სხვა გადასახდელებისაგან.
7. მეიჯარე ადასტურებს, რომ თანახმაა მოიჯარემ გამოიყენოს იჯარის საგანი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული მიზნით. გაუთვალისწინებელი მიზნით ქონების გამოყენებისას მოიჯარე ვალდებულია მიიღოს მეიჯარის წინასწარი თანხმობა.
8. იჯარის ვადის გასვლის შემდგომ მოიჯარე ვალდებულია ქონება დააბრუნოს და, მესაკუთრის მოთხოვნის შემთხვევაში, მოიყვანოს იგი პირვანდელ მდგომარეობაში.
9.1. იჯარის უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებას უზრუნველყოფს მოიჯარე.
9.2. მეიჯარე უფლებამოსილია, მოიჯარის ხარჯით თავად განახორციელოს იჯარის უფლების რეგისტრაციისთვის საჭირო პროცედურები.
9.3. გადაწყვეტილების (აქტის) საფუძველზე გადაცემული იჯარის უფლების სავალდებულო რეგისტრაცია საჯარო რეესტრში უნდა განხორციელდეს აქტის (გადაწყვეტილების) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.1. მოიჯარეს უფლება არა აქვს იჯარით გადაცემული ქონება სარგებლობის უფლებით გადასცეს (მათ შორის გააქირაოს, ქვეიჯარის, თხოვების ფორმით გადასცეს) მესამე პირს ან სხვაგვარად დატვირთოს იგი მეიჯარესთან შეუთანხმებლად. ამასთან, მოიჯარე პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.
10.2. მოიჯარე ვალდებულია მისთვის გადაცემული ქონების გამოყენებისას დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, საიჯარო პირობები და მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ, მოთხოვნისთანავე, მეიჯარის მიერ განსაზღვრულ ვადაში, წარუდგინოს ინფორმაცია მეიჯარეს.
10.3. ამ პირობებისა და ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქონების მიმღებ პირს ამ პირობებით განსაზღვრული ფორმით ეძლევა გაფრთხილება, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა. პირგასამტეხლო განსაზღვრულია საიჯარო პირობებით.
10.4. საიჯარო პირობების შეუსრულებლობის (დარღვევის) განმეორებით გამოვლენის შემთხვევა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა მეიჯარის მიერ მიიჩნევა საიჯარო ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტის საფუძვლად. ქონების მიმღებ პირს არ უბრუნდება გადახდილი თანხა და არ უნაზღაურდება გაწეული ნებისმიერი სხვა ხარჯი. მეიჯარე უფლებამოსილია, ასევე, მოითხოვოს ქონებისთვის მიყენებული და სხვა სახის ზიანის და/ან ზარალის ანაზღაურება.
10.5. საიჯარო ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში სარგებლობის უფლების მიმღებ პირს არ უბრუნდება შემოტანილი თანხა და არ უნაზღაურდება გაწეული ხარჯები.
11. მოიჯარე ვალდებულია:
11.1. აცნობოს დაუყოვნებლივ მეიჯარეს, თუ ქონებას აღმოაჩნდება ნაკლი;
11.2. მოთხოვნისთანავე წერილობითი ან/და ელეტრონული ფორმით მეიჯარეს წარუდგინოს ინფორმაცია საიჯარო პირობებით და საქართველოს კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად;
11.3. ხელი შეუწყოს მეიჯარეს, საიჯარო პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე დოკუმენტური და ვიზუალური მონიტორინგის განხორციელებაში;
11.4. ხელი შეუწყოს მეიჯარეს, კანონმდებლობით და საიჯარო პირობებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებაში;
11.5. საიჯარო პირობების დარღვევის შემთხვევაში მოიჯარეს ეკისრება 12.1-12.3 პუნქტებით განსაზღვრული პირგასამტეხლო.
12.1. საიჯარო ქირის გადაუხდელობის ან გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლო განსაზღვრულია ქირის 0,1%-ის, მაგრამ არანაკლებ 1 (ერთი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
12.2. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით:
სს „ლიბერთი ბანკის'' ცენტრალური ფილიალი
მიმღების დასახელება: სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (ს/კ 205296375)
მიმღების ანგარიშის ნომერი: GE11LB0121133567228000
12.3. საიჯარო პირობებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების (გარდა საიჯარო ქირის გადახდასთან დაკავშირებული ვალდებულებებისა) დარღვევის შემთხვევაში მოიჯარეს ეკისრება პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარის ოდენობით.
13.1. საიჯარო ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს:
13.1.1. მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით;
13.1.2.. მეიჯარის მიერ, ცალმხრივად: საიჯარო პირობების 3.4 მე-4 და 10.4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის პირველივე შემთხვევაში;
13.1.3. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;
13.2. საიჯარო ურთიერთობა შეწყვეტილად ითვლება იჯარის მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში;
13.3. საიჯარო ურთიერთობა წყდება მოიჯარის განცხადებისა და სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს აქტის საფუძველზე, გარდა მეიჯარის მიერ ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტისა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საკმარისია სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს მიერ მიღებული აქტი.
14.1. ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება საიჯარო პირობებში შესაძლებელია განხორციელდეს მხარეთა შეთანხმებით – მოიჯარის განცხადებისა და სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე.

14.2. სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს მიერ საიჯარო პირობებში ცვლილების ინიციირების შემთხვევაში მოიჯარის თანხმობა გამოიხატება ელექტრონული ან/და წერილობითი ფორმით გაცემული თანხმობით.
14.3. საიჯარო პირობებში ცვლილებები და დამატებები საჯარო რეესტრში რეგისტრირდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
15. დავის არსებობის შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.
16.1. ყველა შეტყობინება, მოთხოვნა ან სხვა სახის კორესპონდენცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, უნდა გაიგზავნოს პერსონალური გადაცემის გზით, წინასწარ გადახდილი დაზღვეული ფოსტით, საკურიერო სამსახურით ან ფაქსით, ასევე მეიჯარის მიერ 16.3 პუნქტით გათვალისწინებული წესით შესაბამის მხარესთან შემდეგ მისამართზე:

მოიჯარე

შპს ''ლიტ ჯეო ინვესტი'' (ს/კ: №204531088)

მისამართი: ქ.თბილისი, რუსთაველის N14

მობილური ტელეფონი: 599508121

ელ. ფოსტა: www. evrabuilding@gmail.com

მეიჯარე:

სსიპ – ქონების მართვის სააგენტო
მისამართი: ჟ. შარტავას №7, ქ. თბილისი, საქართველო
სსიპ – ქონების მართვის სააგენტო

16.2. მხარეები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს საკონტაქტო მონაცემების ნებისმიერი რეკვიზიტის ცვლილების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეტყობინება ითვლება მიმღები მხარის მიერ მიღებულად მის მიერ მითითებულ უკანასკნელ მისამართზე გამგზავნი მხარის მიერ გაგზავნის შემთხვევაში.

16.3. მეიჯარის მიერ ელექტრონულად (მათ შორის, ელექტრონული ფოსტით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით და სხვ.) მოიჯარის მიერ მითითებულ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება, მოთხოვნა და სხვა კორესპონდენცია ჩაბარებულად ითვლება ადრესატის შესაბამის მისამართზე (მათ შორის, ელექტრონულ ფოსტაზე) შეტყობინების გაგზავნის მომენტიდან.

ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № 07.12.208

"26" თებერვალი 2013 წ.

ქ. თბილისში, პუშკინის ქუჩა №1-3-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: №01.18.03.018.043.) შპს "ლიტ ჯეო ინვესტისთვის" (ს/კ: №204531088) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემის შესახებ

შპს "ლიტ ჯეო ინვესტის" (ს/კ: №204531088) დირექტორმა ვალერი გელაშვილმა ელექტრონული განცხადებით (QN№111275) მომართა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ.თბილისში, პუშკინის ქუჩა №1-3-ში მდებარე 69 კვმ. მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: №01.18.03.018.043.) იჯარით გადაცემა.

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19[5] მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტების, „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 23[1] და 28-ე მუხლების, ქ. თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს №9-65 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის" მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. გადაეცეს შპს "ლიტ ჯეო ინვესტს" (ს/კ: №204531088) იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, ქ.თბილისში, პუშკინის ქუჩა №1-3-ში მდებარე 69 კვმ. მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: №01.18.03.018.043.).

2. საიჯარო პირობები განისაზღვროს ამ დადგენილების დანართის გათვალისწინებით.

3. დაევალოს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს: უზრუნველყოს შესაბამისი აქტის გამოცემა დადგენილებით გათვალისწინებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით გადაცემის თაობაზე.

4. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერის მოადგილეს დავით ალავიძეს.

5. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქ. თბილისის მერის მოადგილე დავით ალავიძე

სსიპ არქიტექტურის სამსახურს

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

20.09.2013 წ.

მე, შპს „თამაზ ბაძაღუას სახელობის ლიტერატურული კლუბი-არილი“-ს (ს/კ 204449695) დირექტორი რამაზ თავაძე, უძრავი ნივთის მდებარე: ქ. თბილისი, ლესელიძის ქუჩა #4 (საკადასტრო კოდი: 01.18.03.018.010.02.503) მესაკუთრე, თანახმა ვარ ქ. თბილისში, პუშკინის ქ. #1/3–ში მშენებარე ობიექტზე კორექტირებული პროექტის თანახმად (განაცხადი AR1146222) მოეწყოს ღიობები ჩემი ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მხარეს.

შპს „თამაზ ბაძაღუას სახელობის ლიტერატურული

კლუბი-არილი“-ს დირექტორი ---------- /რამაზ თავაძე/

№ 15/5933

"11" მარტი 2013

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

2013 წლის 30 იანვარს სს „საქართველოს ბანკ"–ში შემოსული წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სს „საქართველოს ბანკი" თანახმაა, მის საკუთრებაში არსებული შენობის მიჯნის ზონაში, პუშკინის ქ. # 1-3-ში, მოეწყოს ღიობი პროექტის მიხედვით.

საოპერაციო მხარდაჭერის მიმართულების ხელმძღვანელი

/ ოთარ სულაძე /

თბილისი 0160, გაგარინის ქ. 29ª Gagarini Str., Tbilisi 0160, Georgia
Phone: (+995 32) 2 444 444 Fax: (+995 32) 2 444 174 Web: www.bog.ge

0756

სსიპ არქიტექტურის სამსახურს

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

02.10.2013 წ.

მე, მარი ბეჟანიძე, პ/ნ 61001063352, უძრავი ნივთის მდებარე: ქ. თბილისი, ლესელიძის ქუჩა #4-6 (საკადასტრო კოდი 01.18.03.018.010.01.503) მესაკუთრე, თანახმა ვარ ქ. თბილისში, პუშკინის ქ. #1/3–ში მშენებარე ობიექტზე კორექტირებული პროექტის თანახმად (განაცხადი AR1146222) მოეწყოს ღიობები ჩემს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მხარეს.

ხელმოწერა -------მარი ბეჟანიძე---- /მ. ბეჟანიძე/

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N131040914
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	02.10.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	დავით იმნაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასალის ქ. 55
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	272 19 18
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	25253233568413

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ცამეტი წლის ორ ოქტომბერს, მე, საქართველოს ნოტარიუსს **დავით იმნაძეს**, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: *ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ. №55*, მომმართა: **მარი ბეშანიძემ**. მან წარმოადგინა *თანხმობა* და მოითხოვა *თანხმობაზე* თავისი ხელისმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამ. მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: **მარი ბეშანიძემ** *(დაბ. 22.12.1990წ. ბათუმში, მოქალაქის პირადობის მოწმობა – ბარათის №12IC70049, პ. №61001063352, გაც. 08.02.2013წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, მის. ბათუმი გენ.გ.მაზნიაშვილის ქ. N 37)* მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. ხელმომწერს განემარტა, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს *თანხმობაში* მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე. შემდეგ **მარი ბეშანიძემ** ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე *განცხადებას*.

წინამდებარე *განცხადება* შედგენილია *ქართულ* ენაზე 3 (სამ) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად (თითოეული ეგზემპლარი შედგება ერთი ფურცლისგან, ხელმოწერა შერულდა ერთ გვერდზე; ჯამში შესრულდა 3 (სამი) ხელმოწერა).

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური (6,00) ექვსი ლარი, *თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 31-ე მუხლისა*. პლიუს: 2.00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, *თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 39-ე მუხლისა.* სულ (8,00) რვა ლარი.

ნოტარიუსი დ. იმნაძე

შ.პ.ს."გლობალ სერვის +"

"Global Service +" Ltd.

მისამართი: ქ. თბილისი, ნ. ნიკოლაძის ქ.6-5 Address: #6-5, N. Nikoladze str, Tbilisi, Georgia

საკონტაქტო ტელეფონები: 92-07-90; 899 57 69 77 Contact Phones: 92-07-90; 8-99-57-69-77
ფაქსი: 92-07-80 გსნ 204931850 Fax: 92-07-80

№ 8/13

სსიპ არქიტექტურის სამსახურს

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

10.09.2013 წ.

მე, შპს „გლობალ სერვის +“-ის დირექტორი თალიკო ალავერდაშვილი (ს/კ 204931850, მისამართი: თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ნ. ნიკოლაძის ქ., №6; საკადასტრო კოდი 01.18.03.018.010.02.501, თბილისი, ლესელიძის ქუჩა N4-ში 144 კვ. მეტრი ფართის მესაკუთრე), თანახმა ვარ ქ. თბილისში, პუშკინის ქ. #1/3–ში მშენებარე ობიექტზე კორექტირებული პროექტის თანახმად (განაცხადი AR1146222) მოეწყოს ღიობები ჩემს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მხარეს.

შპს „გლობალ სერვის +“-ის დირექტორი

თალიკო ალავერდაშვილი

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, **გიორგი ზაალიშვილი** (დაბ. 18.04.1945წ. პირ. №01003002131) უძრავი ნივთის მდებარე: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. №4-6 (საკადასტრო კოდი: 01.18.03.018.010.02.502) მესაკუთრე, თანახმა ვარ ქ. თბილისში, პუშკინის ქ. №1/3-ში მშენებარე ობიექტზე კორექტირებული პროექტის თანახმად (განაცხადი AR1146222) მოეწყოს ღიობები ჩემს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მხარეს.

გიორგი ზაალიშვილი: _____

23.09.2013წ.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N131001668
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	23.09.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მარიამ კვეზერელი-დავითაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ქუჩა ლესელიძე, ჩიხი I , # 4
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	599900424
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	62549902497213

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ცამეტი წლის ოცდასამ სექტემბერს ჩემთან, საქართველოს ნოტარიუს მარიამ კვეზერელი-დავითაშვილის სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ლესელიძის ქუჩა, ჩიხი I, №4-ში, გამოცხადდა მოქ. გიორგი ზაალიშვილი რომელმაც წარმოადგინა თანხმობა და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად გიორგი ზაალიშვილმა (დაბ. 18.04.1945წ., რეგისტრირებული მის.: ქ. თბილისი, მუხიანის დას, I მ/რ, კორპ. 2. ბინა 158. პირ. №01003002131)– მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მას განემარტა, რომ მოწმდება მხოლოდ თანხმობაზე მისი ხელმოწერის ნამდვილობა და ნოტარიუსი პასუხს არ აგებს მის შინაარსზე. ზემოაღნიშნულის თაობაზე მან განაცხადა თანხმობა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე თანხმობას, რასაც ვამოწმებ.

ეგზემპლარების რაოდენობა: 3 (სამი)
სანოტარო მომსახურების ხარჯები: 6 (ექვსი) ლარი + 2 (ორი) ლარი, ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, სულ: 8 (რვა) ლარი, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება №507, 2011 წლის 29 დეკემბერი) მუხლ. 31-ე და 39.

ნოტარიუსი: მარიამ კვეზერელი-დავითაშვილი

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, ვალერი გელაშვილი (პ№38511190013, LTU22074556), როგორც შპს " ლიტ ჯეო ინვესტი"-ს (ს/ნ 204531088) დირექტორი, შპს "ლიტ ჯეო ინვესტი"-ს სახელით ვაცხადებ თანხმობას, რათა უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქალაქი თბილისი, პუშკინის ქუჩა №1-3(საკადასტრო კოდი: 01.018.03.018.036) შეთანხმდეს კორექტირებული პროექტი და გაიცეს შესაბამისი თანხმობა, მშენებლობის ნებართვა.

04.07.2013წ.

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, მანანა სადარაძე (პ№01006009959), როგორც სს "მე-11 შერეული ტიპის პოლიკლინიკა"-ს (ს/კ204386556) დირექტორი, სს "მე-11 შერეული ტიპის პოლიკლინიკა"-ს სახელით ვაცხადებ თანხმობას, რათა უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქალაქი თბილისი, პუშკინის ქუჩა №1-3(საკადასტრო კოდი: 01.018.03.018.036) შეთანხმდეს კორექტირებული პროექტი და გაიცეს შესაბამისი თანხმობა, მშენებლობის ნებართვა.

10.07.2013წ.

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, გიორგი გახოკიძე(პ№01008002865), როგორც შპს "ვ.ვ.ვ."-ს (ს/ნ203837535) დირექტორი, შპს "ვ.ვ.ვ."-ს სახელით ვაცხადებ თანხმობას, რათა უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქალაქი თბილისი, პუშკინის ქუჩა №1-3(საკადასტრო კოდი: 01.018.03.018.036) შეთანხმდეს კორექტირებული პროექტი და გაიცეს შესაბამისი თანხმობა, მშენებლობის ნებართვა.

10.07.2013წ.

გაცნობის თარიღი	გაცემის თარიღი
02.10.2013	02.10.2013

განხილვის საგანი :	ქონების გამოყენებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	შპს ვ.ვ.ვ. 203837535
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1161081
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მერთან (მისამართი: თბილისი. ჟ.შარტავას №7)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1161081

დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი მოთხოვნა და მიეცეს თანხმობა გამოიყენოს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება – საკადასტრო კოდით: 01.18.03.018.010.01.505, აღნიშნული უძრავი ქონების და 01.18.03.018.036 საკადასტრო ერთეულის მიჯნის ზონაში ღიობების მოწყობის მიზნით, ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში წარსადგენად.

საფუძველი:

“ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქ.თბილისის მთავრობის №17. 19.830. დადგენილება, “ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი წარმომადგენლის განსაზღვრის შესახებ” ქ. თბილისის მთავრობის 2011წლის 16 თებერვლის №03.30.99 დადგენილება

გაცნობის თარიღი	გაცემის თარიღი
02.10.2013	02.10.2013

განხილვის საგანი :	ქონების გამოყენებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	შპს ვ.ვ.ვ. 203837535
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1161078
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მერთან (მისამართი: თბილისი. ჟ.შარტავას №7)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1161078

დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი მოთხოვნა და მიეცეს თანხმობა გამოიყენოს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება – საკადასტრო კოდით: 01.18.03.018.010.01.504, აღნიშნული უძრავი ქონების და 01.18.03.018.036 საკადასტრო ერთეულის მიჯნის ზონაში ღიობების მოწყობის მიზნით, ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში წარსადგენად.

საფუძველი:

“ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქ.თბილისის მთავრობის №17. 19.830. დადგენილება, “ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი წარმომადგენლის განსაზღვრის შესახებ” ქ. თბილისის მთავრობის 2011წლის 16 თებერვლის №03.30.99 დადგენილება